



*პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამების კატალოგი*

---

## სარჩევი

1	შედულება (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)	3
2	შედულება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)	4
3	ამწის ოპერირება (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)	5
4	ამწის ოპერირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)	6
5	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება	7
6	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	8
7	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია	9
8	გემის საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია	10
9	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია	11

## შედულება

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში / Basic Vocational Qualification in Welding
<b>პროგრამის მიზანი</b>	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ საბაზო განათლება</li> <li>✓ „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.</li> </ul>
<b>კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები</b>	საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდულებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადულებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებში და სფეროში.
<b>სწავლის შედეგები</b>	<p><b>საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით</li> <li>✓ გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად</li> <li>✓ შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით</li> <li>✓ დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით</li> <li>✓ შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით</li> <li>✓ შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით</li> <li>✓ დაადგინოს დეფექტები და წუნები</li> <li>✓ შემოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე</li> </ul>
<b>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 38 კრედიტი - 28 კვირა;</li> <li>✓ სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ექვსი თვე.</li> <li>✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 53 კრედიტი - 38 კვირა;</li> <li>სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ათი თვე.</li> </ul>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	მიხეილ თევდორაძე - ბსსა მოწვეული მასწავლებელი
<b>პროგრამის განხორციელების ადგილი</b>	ბათუმი, რუსთაველის 53
<b>პარტნიორი ორგანიზაციები /პრაქტიკის ობიექტები</b>	შპს „საზღვაო ტექსერვისი“, შპს „მმს გრუპი“

## შედულება

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში / Secondary Vocational Qualification in Welding
<b>პროგრამის მიზანი</b>	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სრული ზოგადი განათლება</li> <li>✓ „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.</li> </ul>
<b>კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები</b>	საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდულებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადულებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.
<b>სწავლის შედეგი</b>	<p><b>საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით</li> <li>✓ გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად</li> <li>✓ შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით</li> <li>✓ დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით</li> <li>✓ შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით</li> <li>✓ შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით</li> <li>✓ დაადგინოს დეფექტები და წუნები</li> <li>✓ შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე</li> <li>✓ უზრუნველყოს შედულების პროცესების ხარისხიხი</li> <li>✓ გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები შედულების პროცესების სამართავად</li> <li>✓ გამოიყენოს და გადასცეს ტექნიკური ინფორმაცია</li> <li>✓ დაგეგმოს შედულების პროცესი</li> </ul>
<b>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 79 კრედიტი - 62 კვირა; სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის თექვსმეტი თვე.</li> <li>✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 109 კრედიტი - 102 კვირა; სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ოცდათერთმეტი თვე.</li> </ul>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	ავთანდილ ცეცხლაძე - ბსსა მოწვეული მასწავლებელი
<b>პროგრამის განხორციელების ადგილი</b>	ბათუმი, რუსთაველის 53
<b>პარტნიორი ორგანიზაციები /პრაქტიკის ობიექტები</b>	შპს „საზღვაო ტექსერვისი“, შპს „მმს გრუპი“

## ამწის ოპერირება

**მისანიჭებელი  
კვალიფიკაცია**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში /  
Basic Vocational Qualification in Crane Operation.

**პროგრამის მიზანი**

საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სამრეწველო, სამოქალაქო, სპეციალური დანიშნულების, მათ შორის ნავსადგურის სატვირთო ოპერაციების განსახორციელებლად.

**პროგრამაზე დაშვების  
წინაპირობა**

- ✓ საბაზო განათლება
- ✓ ასაკი არანაკლებ 17 წელი
- ✓ „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

**კურსდამთავრებულთა  
კარიერული  
შესაძლებლობები**

ამწეების და მსგავსი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ უძრავ და მოძრავ ამწეებსა და სხვა ამწე აღჭურვილობას, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

**სწავლის შედეგები**

**საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- ✓ აწარმოოს სატვირთო ოპერაციები - გადაადგილება/განთავსება, აწევა/დაშვება
- ✓ გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები - ტვირთსატაცი, ტვირთამწევი
- ✓ აწარმოოს ამწის სამუშაოდ მოსამზადებელი სამუშაოები, განახორციელოს სამუშაოს წინაზე და შემდგომში, პერიოდული და გეგმიური დათვალიერება
- ✓ აწარმოოს ამწის საექსპლუატაციო მახასიათებლების კონტროლი და ტექნიკური დათვალიერება
- ✓ დაიცვას სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და პერსონალის ჯანმრთელობა, სანიტარული ნორმები და რეგულაციების სხვა მოთხოვნები

**პროგრამის მოცულობა და  
ხანგრძლივობა**

- ✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 46 კრედიტი - 32 კვირა
- ✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 61 კრედიტი - 52 კვირა

სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა შვიდი თვე

**პროგრამის ხელმძღვანელი  
პროგრამის  
განხორციელების ადგილი**

ამირან ნაკაშიძე - ბსსა მოწვეული მასწავლებელი

ბათუმი, რუსთაველის 53

**პარტნიორი  
ორგანიზაციები /პრაქტიკის  
ობიექტები**

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ბათუმის საკონტინენტო ტერმინალი“

## ამწის ოპერირება

**მისანიჭებელი  
კვალიფიკაცია**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში /  
Secondary Vocational Qualification in Crane Operation ation.

**პროგრამის მიზანი**

საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სამრეწველო, სამოქალაქო, სპეციალური დანიშნულების, მათ შორის ნავსადგურის სატვირთო ოპერაციების განსახორციელებლად.

**პროგრამაზე დაშვების  
წინაპირობა**

- ✓ სრული ზოგადი განათლება.
- ✓ ასაკი არანაკლებ 17 წელი
- ✓ „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი.

**კურსდამთავრებულთა  
კარიერული  
შესაძლებლობები**

ამწეების და მსგავსი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ უძრავ და მოძრავ ამწეებსა და სხვა ამწე აღჭურვილობას, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

**სწავლის შედეგები**

- საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:**
- ✓ აწარმოოს სატვირთო ოპერაციები: გადაადგილება/განთავსება, აწევა/დაშვება
  - ✓ გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები: ტვირთსატაცი, ტვირთამწევი
  - ✓ აწარმოოს ამწის სამუშაოდ მოსამზადებელი სამუშაოები, განახორციელოს სამუშაოს წინარე და შემდგომი, პერიოდული და გეგმიური დათვლიერება
  - ✓ აწარმოოს ამწის საექსპლუატაციო მახასიათებლების კონტროლი და ტექნიკური დათვლიერება
  - ✓ დაიცვას სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და პერსონალის ჯანმრთელობა, სანიტარული ნორმები და რეგულაციების სხვა მოთხოვნები
  - ✓ შეაფასოს პერსონალის შესაძლებლობები და გადაანაწილოს შესასრულებელი სამუშაოები
  - ✓ გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები
  - ✓ განახორციელოს ამწის სამუშაო ოპერაციების ზედამხედველობა
  - ✓ განახორციელოს სამუშაოთა შესრულების კონტროლის ორგანიზება-კოორდინაცია
  - ✓ დაგეგმოს და განახორციელოს დანადგარების, აღჭურვილობისა და მექანიზმების გამოყენების სამუშაოები და მონიტორინგი
  - ✓ დაგეგმოს და შეასრულოს სამუშაო მოედანზე ტვირთის პოზიციონირების სიზუსტის უზრუნველყოფის სამუშაოები

**პროგრამის მოცულობა და  
ხანგრძლივობა**

- ✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი - 68 კვირა
  - ✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 106 კრედიტი - 108 კვირა
- სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა შვიდი თვე

**პროგრამის ხელმძღვანელი  
პროგრამის  
განხორციელების ადგილი**

ამირან ნაკაშიძე - ბსსა მოწვეული მასწავლებელი  
ბათუმი, რუსთაველის 53

**პარტნიორი  
ორგანიზაციები /პრაქტიკის  
ობიექტები**

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ბათუმის საკონტეინერო ტერმინალი“

## სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	სამშაულო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics
<b>პროგრამის მიზანი</b>	საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	✓ სრული ზოგადი განათლება
<b>კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები</b>	კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმებში. საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში, სავაჭრო-შემსყიდველი და სამუშაო ფირმებში, მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ფირმებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში, სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.
<b>სწავლის შედეგები</b>	<b>სამშაულო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:</b> ✓ დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები; ✓ გააფორმოს შეკვეთა; ✓ განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი; ✓ შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია; ✓ გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები; ✓ მიიღოს ტვირთი საწყობში; ✓ გააკონტროლოს ნაშთები.
<b>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა</b>	✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 69 კრედიტი - 58 კვირა ✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 99 კრედიტი - 98 კვირა
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა თერთმეტი თვე კარინა მელიქჯანიანი - ბსსა მოწვეული მასწავლებელი
<b>პროგრამის განხორციელების ადგილი</b>	ბათუმი, რუსთაველის 53
<b>პარტნიორი ორგანიზაციები /პრაქტიკის ობიექტები</b>	შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ბათუმის საკონტეინერო ტერმინალი“

## პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში /  
Higher Vocational Qualification in Logistics

**პროგრამის მიზანი**

საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

**პროგრამაზე დაშვების  
წინაპირობა**

✓ სრული ზოგადი განათლება

**კურსდამთავრებულთა  
კარიერული  
შესაძლებლობები**

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს პორტის ლოგისტიკის ოპერატორად, დაგეგმოს, მართოს, გაუწიოს კოორდინაცია სამგ ზავრო სატრანსპორტო სისტემებს, ასევე საქონლის მიწოდებას, ტრანსპორტირებას, დასაწყობებასა და დისტრიბუციას

**სწავლის შედეგები**

**უმაღლესი პროფესიული საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- ✓ დაგეგმოს და განახორციელოს მარაგის საჭირო დონის შენახვისათვის მინიმალური ხარჯები;
- ✓ გამართოს მოლაპარაკებები მომწოდებლებთან კონტრაქტებთან დაკავშირებით ხარისხის, ხარჯებისა და მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- ✓ განახორციელოს საწყობისა და ინვენტარის სისტემების მონიტორინგი;
- ✓ განახორციელოს ზედამხედველობა საგ ზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებზე თუ თვითმფრინავებში;
- ✓ განახორციელოს ჩანაწერები საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით და უზრუნველყოს დროის ოპტიმალურ მონაკვეთში ხელახალი მომარაგება;
- ✓ დაამყაროს კავშირი სხვა დეპარტამენტებთან და მომხმარებლებთან საზღვრებს გარეთ გასატანი საქონლისა და მისი ექსპედიციისათვის წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- ✓ განახორციელოს ზედამხედველობა შესყიდვის, დასაწყობებისა და დისტრიბუციასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის შენახვაზე;
- ✓ დაგეგმოს, განახორციელოს და გაუწიოს მონიტორინგი შესყიდვების, დასაწყობებისა და დისტრიბუციის სტრატეგიას და პოლიტიკას;
- ✓ შეიმუშაოს და მართოს ბიუჯეტი ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- ✓ შეიმუშაოს და მართოს ადმინისტრაციული პროცედურები;
- ✓ განახორციელოს ზედამხედველობა თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულების სამუშაოს პროცესზე

**პროგრამის მოცულობა და  
ხანგრძლივობა**

✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 51 კრედიტი - 35 კვირა  
✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 81 კრედიტი - 75 კვირა  
სწავლა-სწავლების საგარეულო ხანგრძლივობაა ცხრა თვე

**პროგრამის ხელმძღვანელი  
პროგრამის განხორციელების  
ადგილი**

კარინა მელიქჯანიანი - ბსსა მოწვეული მასწავლებელი  
ბათუმი, რუსთაველის 53

**პარტნიორი ორგანიზაციები  
/ვრცელების ობიექტები**

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ბათუმის საკონტინერო ტერმინალი“



## თევზსაჭერი გემის ნავიგაცია

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში /Fifth Level Vocational Qualification in Fishing Vessel Navigation
<b>პროგრამის მიზანი</b>	მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე თევზსაჭერ ფლოტში დასასაქმებლად
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სრული ზოგადი განათლება;</li> <li>✓ ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - „სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“;</li> <li>✓ ასაკი არანაკლებ 17 წელი.</li> </ul>
<b>კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები</b>	<p>თევზსაჭერი გემის ნავიგატორი/მეთევზე-მეზღვაური იქერს თევზს ღრმა წყლებში კომერციული მიზნებისათვის - საბითუმო მოვაჭრეებისათვის, მარკეტინგული ორგანიზაციებისათვის და ბაზრებისათვის, ამზადებს/შეაკეთებს ბადეებს, სხვა სათევზაო მოწყობილობებსა და აღჭურვილობებს, მართავს/ექსპლუატაციას უწევს თევზსაჭერ ხომალდს ღრმა წყლებსა და თევზჭერის რაიონებში, განსაზღვრავს თევზსაჭერ ადგილს, ადგენს გემის სვლის კურსს და სანავიგაციო პოზიციას, მართავს თევზჭერის ოპერაციას და ზედამხედველობს ეკიპაჟს, არჩევს და წვრთის ხომალდის მუშახელს. შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობები განსაზღვრება საერთაშორისო სატანდარტით - მეზღვაურთა წრთვნის, დიპლომირებისა და ვახტის გაწვევის საერთაშორისო კონვენცია თევზსაჭერი გემის პერსონალისათვის STCW-F</p> <p><b>მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ მოამზადოს და შეაკეთოს ბადეები და სხვა სათევზაო მოწყობილობები და აღჭურვილობები;</li> <li>✓ განახორციელოს თევზსაჭერი ხომალდის მართვა და ექსპლუატაცია ღრმა წყლებში, თევზჭერის რაიონებში;</li> <li>✓ განსაზღვროს თევზსაჭერი ადგილი და სანავიგაციო პოზიცია, დაადგინოს გემის სვლის კურსი კომპასის, რუკებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით;</li> <li>✓ გამოიყენოს სანავიგაციო აღჭურვილობები და სხვა დამხმარე ელექტრონული ხელსაწყოები;</li> <li>✓ გაუწიოს ზედამხედველობა ეკიპაჟს და მართოს თევზჭერის ოპერაციები;</li> <li>✓ აწარმოოს ჩანაწერები თევზჭერის პროცესის (ჭერილის რაოდენობის) ასევე ამინდისა და ზღვის მდგომარეობის შესახებ;</li> <li>✓ გამართოს (სატყუარას ჩამოცმა, გადასროლა და ამოქაჩვა) თევზსაჭერი აღჭურვილობა;</li> <li>✓ მოახდინოს თევზის პირველადი დამუშავება გენბანზე ან ნაპირზე (თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება);</li> <li>✓ შეარჩიოს და გაწვრთნას ხომალდის მუშახელი</li> </ul>
<b>სწავლის შედეგები</b>	
<b>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 88 კრედიტი - 61 კვირა</li> <li>✓ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 118 კრედიტი - 101 კვირა</li> </ul> <p>სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა თექვსმეტი თვე</p>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	ანა შოთაძე - ბსსა ასოცირებული პროფესორი
<b>პროგრამის განხორციელების ადგილი</b>	ბათუმი, რუსთაველის 53
<b>პარტნიორი ორგანიზაციები /პრაქტიკის ობიექტები</b>	შპს „კაპიტალინვესტი“, შპს „მბმ“, შპს „შავი ზღვის პროდუქტები“, აიპ „საქართველოს მეთევზეთა კავშირი“, შპს „პალიასტომი“

## გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში / <i>Basic Vocational Qualification in Ship Deck Operation</i>
<b>პროგრამის მიზანი</b>	საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს გემის დამხმარე დონის საგემბანე განყოფილების რიგითი მეზღვაური, რომელსაც კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია გემბანის სხვადასხვა სამუშაოების წარმოება გემის ქმედითუნარიანობის შენარჩუნების, ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოებისა და გარემოს დაზინძურების თავიდან აცილების მოთხოვნათა დაცვით
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ საბაზო განათლება</li> <li>✓ „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება“);</li> </ul>
<b>კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები</b>	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და პრაქტიკის გავლის შესახებ ცნობები. შემდგომ მან უნდა გაიაროს სერტიფიცირება საჭირო სერტიფიკატების ასაღებად. მიღებული დოკუმენტების საფუძველზე აბარებს გამოცდას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სამუშაო დიპლომის მისაღებად.
<b>სწავლის შედეგები</b>	<p><b>საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ გემბანის მოწყობილობებისა და მექანიზმების უსაფრთხო ექსპლუატაციაში მონაწილეობა;</li> <li>✓ უსაფრთხო სანავიგაციო ვახტაში მონაწილეობა;</li> <li>✓ გემის საჭეს მართვა;</li> <li>✓ გემის საბმელ და საღუზე ოპერაციებში მონაწილეობა;</li> <li>✓ გემზე არსებული სათავსების მოვლა-დასუფთავება;</li> <li>✓ გემბანის მექანიზმების პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობა;</li> <li>✓ სატაკელაჟო სამუშაოების შესრულება;</li> <li>✓ გემზე სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა;</li> <li>✓ გემზე სამღებრო სამუშაოების შესრულება;</li> <li>✓ გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა</li> </ul>
<b>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 91 კრედიტი - 76 კვირა</li> <li>✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 106 კრედიტი - 96 კვირა</li> </ul> <p>სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა თვრამეტი თვე</p>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	გივი ციციქიშვილი - ბსსა მოწვეული მასწავლებელი
<b>პროგრამის განხორციელების ადგილი</b>	ბათუმი, რუსთაველის 53
<b>პარტნიორი ორგანიზაციები /პრაქტიკის ობიექტები</b>	შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ვიზარტი“, შპს „ბლექ სი ფიშინგი“, შპს „ელდორადი“, შპს „დათა საბა“.

## გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Ship Deck Operation.
<b>პროგრამის მიზანი</b>	საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს გემის დამხმარე დონის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური, რომელსაც კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია სამანქანე განყოფილების სხვადასხვა სამუშაოების წარმოება გემის ქმედითუნარიანობის შენარჩუნების, ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოებისა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მოთხოვნათა დაცვით
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ საბაზო განათლება</li> <li>✓ „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება“);</li> </ul>
<b>კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა დანიშნულების გემებზე სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პოზიციაზე. დასაქმება შესაძლებელია ასევე, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში.</li> </ul>
<b>სწავლის შედეგები</b>	<p><b>საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება;</li> <li>✓ სამანქანე განყოფილების მექანიზმების რემონტი - შეკეთება;</li> <li>✓ სამანქანე განყოფილების ვახტის წარმოება;</li> <li>✓ სამღებრო სამუშაოების შესრულება;</li> <li>✓ საწვავის მიღებისა და გადატუმბვის ოპერაციებში მონაწილეობა;</li> <li>✓ ლიალურ და ბალასტურ წყლებთან დაკავშირებულ ოპერაციებში მონაწილეობა;</li> <li>✓ სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა;</li> <li>✓ გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.</li> </ul>
<b>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 87 კრედიტი - 76 კვირა</li> <li>✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 102 კრედიტი - 96 კვირა</li> </ul> <p>სწავლა-სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა თვრამეტი თვე</p>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	ვაჟა სიხარულიძე - ბსსა მოწვეული მასწავლებელი
<b>პროგრამის განხორციელების ადგილი</b>	ბათუმი, რუსთაველის 53
<b>პარტნიორი ორგანიზაციები /პრაქტიკის ობიექტები</b>	შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ვიზარტი“, შპს „ბლეე სი ფიშინგი“, შპს „ელდორადი“, შპს „დათა საბა“.